პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№69 (6134) 8 აპრილი, შაბათი. 1978 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**დღეს**

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე საზეიმოდ აღიმართება სსრ კავშირის 41-ე საფეხბურთო ჩემპიონატის ალამი

# ტრიბუნებზე — სანიმუშო წესრიგი!

## თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, ადმინისტრაციული, ფიზკულტურული, სპორტული მუშაკებისა და ფონსაფის წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრების მომზადებასა და ორგანიზაციას, აგრეთვე, ამ შეჯიბრებებზე სანიმუშო წესრიგის დამყარებას.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ა. ჩხეიძემ.

საგაზაფხულო-საზაფხულო სპორტული სეზონისათვის საქვეუწყებო ორგანიზაციათა მზადყოფნის შესახებ ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა კ. ვ. კეთილაძემ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ი. ნ. ორჯონიკიძემ, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. პ. ებრალიძემ, რესპუბლიკის პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგემ ი. ი. ბოჭორიძემ, საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. რ. სანებლიძემ, აფხაზეთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ დ. ა. ხვარწკიამ, აჭარის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ზ. ა. მამუკაძემ, სპორტკომბინატ „დინამოს" დირექტორმა ბ. ს. პაიჭაძემ, ცხინვალის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ა. შავლოხოვმა, პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ზ. მაყაშვილმა, საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილემ ზ. ა. ლომიძემ.

სპორტსმენთა და მაყურებელთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის პრობლემებს მიუძღვნა გამოსვლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ გ. ვ. ბედიანიშვილმა.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ ახლა საქართველოს მშრომელები განსაკუთრებული აღმავლობის გზაზე არიან საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვასთან და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით რესპუბლიკის დაჯილდოებასთან დაკავშირებით. საწარმოებიდან, კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან, მშენებლობებიდან და სამეცნიერო დაწესებულებებიდან კარგი ამბები მოდის.

რესპუბლიკის ყველა მშრომელს თანაში უდგანან სპორტული კოლექტივებიც. ეს გამოიხატება ჩვენი ოსტატების შედეგების ზრდით, ახალი სტადიონების, მოედნებისა და ბაზების მშენებლობით — ფიზკულტურასა და სპორტში ებმება მშრომელთა ახალ-ახალი მასები, ახალგაზრდობა. ამით კონკრეტულად ისხამს ხორცს ჩვენი პარტიის ზრუნვა საბჭოთა ადამიანის ჰარმონიული განვითარებისათვის, რომელიც კომუნისტურ სიმტკიცესთან, განათლებასთან და მორალურ წრთობასთან ერთად შეიცავს ფიზიკურ სრულყოფას, შრომისა და სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნას.

მაგრამ ახალი სპორტული კომპლექსების მშენებლობის, უკვე მოქმედი ბაზების გაფართოების კვალობაზე, იზრდება არა მარტო სპორტსმენთა, არამედ გულშემატკივართა რიცხვიც. საკმარისია გავიხსენოთ, რომ თბილისის „დინამოს" სტადიონის „სიმძლავრე" რეკონსტრუქციის შემდეგ ერთიორად გაიზარდა. მეტი მაყურებლის მიღება შეუძლიათ ახლა ლანჩხუთის, ხობის, ბოლნისის, რუსთავის, ვანის, მახარაძის, რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების სტადიონებსაც. ეს კანონზომიერი პროცესია. მარტო მიმდინარე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში უნდა აშენდეს 14 აუზი, 26 სპორტული დარბაზი, 17 ფეხბურთის მოედანი, 61 კალათბურთისა და ფრენბურთის მოედანი, ორი იპოდრომი და სხვ.

რესპუბლიკის სპორტულ რუკაზე ახალი თანამედროვე სპორტული კომპლექსების გამოჩენა ხელს უწყობს სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებას, და რაც უფრო წარმატებით გამოდიან ისინი, მით უფრო მეტ მაყურებელს იზიდავენ ტრიბუნებზე.

სპორტული სანახაობებისადმი მზარდი ინტერესი განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს იმ უწყებების საქმიანობას, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა ასპარეზობის მაღალი ორგანიზაციისათვის. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ყველას საკმაოდ კარგად როდი აქვს შეგნებული ეს. ჯერ კიდევ არ დაგვვიწყებია დასანანი ინციდენტები, რომლებიც მოხდა თბილისის „დინამოს" სტადიონზე და სპორტის სასახლეში, გალის, გორის, ხობის, საჩხერისა და სხვა სტადიონებზე.

როგორც წესი, სპორტსმენები, რომლებიც მსაჯებსა და გულშემატკივრებს მიმართავენ, თავს ვეღარ იკავებენ კრიტიკულ სიტუაციებში, როგორც კი ორთაბრძოლის ბედი მეტოქის სასარგებლოდ გადაიხრება. ზოგიერთი მწვრთნელი კი, იმის ნაცვლად, რომ მოუწოდოს წამომწყებთ წესრიგისაკენ, ხშირად თვითონ არღვევს სპორტულ ეთიკასა და დისციპლინას.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ სსრ კავშირის სპორტკომიტეტის არსებული დებულებით ასპარეზობის დროს უწესრიგობას შეიძლება მოჰყვეს გუნდის, მინდვრის ან მოედნის დისკვალიფიკაცია, უფრო მეტიც, სავსებით ჩამოერთვას ამა თუ იმ ქალაქს ან რაიონს თავისთან შეჯიბრების ჩატარების უფლება.

სპორტული სანახაობანი მაყურებელთა კულტურის დონის შემოწმების თავისებური „პოლიგონია". როცა ცალკეული სპორტსმენები და გულშემატკივრები თავს უხეშობის, ბილწსიტყვაობის ნებას აძლევენ, ამით სახელს უტეხენ საკუთარ თავს საზოგადოებრიობისა და სტუმართა თვალში, და რაც უფრო მთავარია, ჩირქს სცხებენ რესპუბლიკის კულტურულ ტრადიციებს. გაუფრთხილებლად წამოსროლილ ფრაზას, რომელსაც ხმების გუნდი აიტაცებს, ან სპორტსმენის უღირს საქციელს, ტელევიზია და რადიო უნებლიედ მრავალმილიონიანი აუდიტორიის კუთვნილებას ხდის.

(დასასრული მე-2 გვ.)



# ფეხბურთია თბილისში!

ეს დღე სხვანაირად იწყება დედაქალაქში. დილიდანვე ვაზს გადაყოლილი გლეხივით შესცქერიან ცას, გაცრეცილი ღრუბელიც კი საავდროდ ეჩვენებათ. გამოზამთრებული ფიქრები თავს აღწევს მოლოდინის ტყვეობას და თანდათან სადღესასწაულო ჩუმ სიხარულად იღვრება სხეულში.

სხვანაირები არიან ამ დღეს კაცები. როგორღაც იოლად ივიწყებენ სხვა ყველა საფიქრალს. განზეა გადადებული შარშანდელი სეზონის სიხარულიცა და წუხილიც, ახალი იმედი შეჰკედლებია გულს.

სამზარეულოებში ჩუმად ბუზღუნებენ ქალები: „მორჩა, დაგეწყოთ ახლა და აგიშენდებათ ოჯახი".

გულშემატკივარი გამძლეა, მომთმენია, ესეც არ იყოს, უკვე შეჩვეულია ამ პატარ-პატარა უბოროტო მონოლოგებს. პირველი მატჩის დღეს ბევრი რამის პატიება შეუძლია ფეხბურთის მოყვარულს.

მერე კი, თამაშის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე, საპატარძლოსავით მორთული სტადიონისკენ ქალაქის ყოველი კუთხე-კუნჭულიდან დაიძვრება ზღვა მაყრიონი. დინჯად, ტაატით გადაივლის ქუჩებს, მოედნებს, „დინამოს" მისასვლელებთან შედედდება.

ფეხბურთი თბილისში...

ეს არც მხოლოდ სპორტული ასპარეზობაა, არც მარტო სანახაობა. ამოდენა ხალხიც აზარტს მოწყურებულივით როდი მოსწყდომია ჩვენი სპორტის გულს.

მოდიან, საუბრობენ აუჩქარებლად, დინჯად — გუშინდელზე, დღევანდელზე, ხვალინდელზე. ქართულ სუფრასავით ლაზათიანი, მშვიდი და აზრიანია ეს სვლა.

დღესასწაულია, დახვეწილი და ერთობ ტევადი რიტუალია ფეხბურთი თბილისში. რიტუალს კი თავისი წესები, კანონები აქვს.

აზარტიც, მხარდაჭერაც, ობიექტურობაც, სიხარულიცა და დარდიც ერთად, ერთდროულად სდევს თან ამ რამდენიმე საათს. ყველაფერი ზომა-წონით, ისე, როგორც ტრადიციას შეეფერება და მოეთხოვება.

ძნელი და საპატიო ტრადიციას მიყოლა. სტადიონის მომსახურე პერსონალი, სპორტსმენები, მსაჯები, მწვრთნელები, მაყურებლები... სწორედ ესენი არიან დღევანდელი დღესასწაულის სულისჩამდგმელნი და უშუალო მონაწილენი. ხშირად ერთადერთი უადგილო ჟესტი, გამომწვევი საქციელი, სპორტული თუ გულშემატკივრის მოვალეობის წამიერი დავიწყებაც კი საკმარისია ჩრდილი მიადგეს, დამახინჯდეს, დაირღვეს ეს რუდუნებით ნაქსოვი ურთიერთობა, ადამიანსა და სპორტს, მაყურებელსა და სპორტსმენს შორის რომ არის გაბმული.

ძნელია ტრადიციას მიყოლა. და მაინც ვალდებულნი ვართ — სპორტი ხომ ზეიმია, დღესასწაულია. აქ, სტადიონზეც ხომ საკმაოდ ნათლად იკვეთება ჩვენი მოქალაქეობრივი სახე. ვალდებულნი ვართ იმიტომაც, რომ მინდორზეცა და ტრიბუნაზეც უმეტესობა და რაც მთავარია, პირველყოვლისა, კაცები ვართ.

ფეხბურთის დღე სხვანაირად იწყება თბილისში.

ჩუმად ბუზღუნებენ ქალები. უბოროტო, სითბოთი სავსეა ეს მონოლოგები, თორემ დაძარღვულმკლავიანები, ღონიერები და ამტანები, რკინას რომ იმორჩილებენ, სახლებს რომ აშენებენ, შვილების მომავალს რომ აშენებენ, ბავშვებივით სათუთნი, მგრძნობიარე და გულჩვილნი ხდებიან ფეხბურთის დღეს.

„ვნახოთ, რით დაბრუნდებით შინ".

ესეც, ყასიდად, კაცების გასაწიწმატებლად არის ნათქვამი. თვითონაც ხომ კარგა ხანია შინაურ გულშემატკივრებად იქცნენ — სხვა არა იყოს რა, თბილისის „დინამო" თამაშობს დღეს!

# სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებისთვის

**მოსკოვიდან** სასიხარულო ცნობა მოვიდა: მასობრივ-ფიზკულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობისთვის გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისთვის „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურმა საბჭომ II ადგილი მოიპოვა.

საქართველოს სტუდენტ-სპორტსმენების ეს გამარჯვება ცენტრალური საბჭოს სამახსოვრო ვიმპელითა და საპატიო სიგელით აღინიშნა.

სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" ცენტრალურმა საბჭომ შეაჯამა, აგრეთვე, სტუდენტთა და უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა შორის მშდ კომპლექსის მასობრივი დანერგვის შედეგები. აქაც II ადგილზე გავიდა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო, რისთვისაც მას გადაეცა ვიმპელი და „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს სიგელი.

საზოგადოების საპატიო სიგელით დაჯილდოვდა „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ასათიანი.

ზ. კოვალიოვი.

# პირველი ეტაპის შემდეგ

საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტმა შეაჯამა კალათბურთის, ხელბურთისა და ფრენბურთის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლების საკავშირო დათვალიერება-კონკურსის პირველი ეტაპის შედეგები, რომელიც ტარდება დევიზით: „ოლიმპიური სტარტებისთვის მზად ვართ!".

კალათბურთის სპეციალიზებულ სპორტულ სკოლებს შორის პირველ ადგილზეა თბილისის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა ნორჩი დინამოელი (დირექტორი ლ. ინწკირველი); ფრენბურთის სპორტულ სკოლებს შორის ასევე პირველია თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა (დირექტორი გ. იმნაძე).

# ტრიბუნებზე — სანიმუშო წესრიგი!

დასასრული

თათბირის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამგვარი ფაქტები მოწმობენ, რომ ნაკლოვანებანია მორალური და ზნეობრივი ნორმების, შინაგანი დისციპლინისა და თვითკონტროლის დაცვის სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდისათვის მუშაობაში. ამ საქმეში სერიოზულ საყვედურს იმსახურებენ პედაგოგიური კოლექტივები, კომკავშირული ორგანიზაციები, მშობელთა საზოგადოებრიობა. მათი ვალია ახალგაზრდებს ჩაუნერგონ პასუხისმგებლობის გრძნობა საკუთარი და ამხანაგების საქციელისათვის.

სამწუხაროდ, იშვიათი არ არის შემთხვევები, როცა ასპარეზობის დამსწრე მშობლები თავიანთ შვილებს, ხოლო უფროსები — გვერდით მჯდომ მოზარდებს არათუ აკავებენ, არამედ ზოგჯერ თვითონ იქცევიან უღირსად. ამის შედეგად, მასობრივ სპორტულ სანახაობათა მოწყობის ადგილები, ნაცვლად იმისა, რომ პოპულარიზაციას უწევდნენ ჭეშმარიტ რაინდობას, მეტოქისადმი პატივისმცემლურ დამოკიდებულებას, ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდას, ხშირად აშკარა უხეშობის არენად გადაიქცევა ხოლმე.

ჩვენი გულშემატკივრების დიდი უმრავლესობა კეთილმოსურნე და ობიექტურია. გავიხსენოთ თუნდაც ის, რა გულწრფელად და აქტიურად უჭერდნენ მხარს ისინი თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ ნახევარფინალურ მატჩში მოსკოვის დინამოელებს, რომლებიც ვენის „აუსტრიასთან" თამაშობდნენ. ამიტომაც ცენტრალურ პრესას შემთხვევით არ აღუნიშნავს, რომ მოსკოველთა გამარჯვების თანამონაწილენი თბილისელი მაყურებლები გახდნენ. თვით ფეხბურთელებმაც აღიარეს მატჩის შემდეგ, რომ არასოდეს და არსად მათთვის ასე მხურვალედ არ დაუჭერიათ მხარი.

ეს სპორტულ მეტოქეობაზე ბუნებრივი რეაქციაა, მით უმეტეს, თუ გამარჯვებისათვის იბრძვიან თანამემამულენი. მაგრამ, მწვანე მინდორზე თუ დარბაზში მოპოვებული წარმატებანი ჭეშმარიტ სიხარულს მხოლოდ მაშინ მოგვანიჭებენ, როცა იგი პატიოსანი სპორტული ბრძოლითაა მიღწეული. სწორედ ამიტომაც თათბირის მონაწილენი მოითხოვდნენ, რომ მკაცრად აგებინონ პასუხი ყველა იმას, ვინც არაფერს დაერიდება „მომგებიანი ქულის" აღებისათვის. ეს ეწინააღმდეგება პატიოსანი მეტოქეობის სულისკვეთებას, აუფერულებს შეჯიბრებას, იწვევს მორალურ ზიანს, დიდ ვნებას აყენებს მთელ ჩვენს სპორტს. თათბირზე მოიყვანეს მაგალითები, როცა „მომგებიანი ქულის" ინტერესებისათვის მატჩის მოსამსახურებლად ჩამოსულ მსაჯებს ცდილობენ ყოველნაირად მოუგონ გული.

დიახ, არბიტრებიც ზოგჯერ ცდებიან, მაგრამ არაკვალიფიციურ მსაჯობას ახლა მტკიცე ბრძოლა აქვს გამოცხადებული. ზოგიერთი არბიტრი საერთოდ ჩამოშორებულია მსაჯობას, ზოგიერთი — რამდენიმე თამაშით ან მთელი სეზონის მანძილზეა დისკვალიფიცირებული, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არაზუსტი მსაჯობა რეაგირების გარეშე არ დარჩენილა. ასე იქნება კვლავაც.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს მსაჯის ვერავითარი შეცდომა ვერ გაამართლებს საზოგადოებრივი წესრიგის ხელყოფას. როგორც ანალიზი მოწმობს, ამ უწესრიგობას პროვოკაციულად იწვევენ არა ნამდვილი, არამედ ვაი-გულშემატკივრები, რომლებიც თავისი გუნდისა თუ სპორტსმენისაგან მოითხოვენ გამარჯვებას ყოველგვარ ფასად.

ტრიბუნებზე სანიმუშო წესრიგის დამყარება მთელი საზოგადოებრიობის საქმეა. ამ საქმეში დიდია პროფკავშირული ორგანიზაციების როლი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მარტო რესპუბლიკის ჩემპიონატებში, სსრ კავშირის ფეხბურთელთა პირველობის პირველ და მეორე ლიგაში მონაწილეობს სამოცამდე პროფკავშირული გუნდი, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა სახეობის სპორტის ასპარეზობებში პროფკავშირულ სპორტსმენთა მონაწილეობაზე.

მაღალი შეგნებისა და დისციპლინის, სტუმართმოყვარეობის ტრადიციების ერთგულების სულისკვეთებით სპორტსმენთა და მაყურებელთა აღზრდაში დიდი როლი უნდა შეასრულონ პრესამ, ტელევიზიამ და რადიომ, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. რა დასანანია, როცა დიდი ასპარეზობა ზოგჯერ ისე მიმდინარეობს, როცა ტრიბუნები თითქმის ცარიელია, რატომ არ უნდა დავასწროთ ამ ასპარეზობებს მოზარდები, რომლებსაც პატარაობიდანვე ჩავუნერგავთ ტრიბუნებზე მოქცევის მაღალ კულტურას, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ასეთი სანახაობის შემდეგ რამდენიმე ათეული ბავშვი ჩაებმება სპორტულ მეცადინეობებში. ამის ინიციატორები უნდა გახდნენ კომკავშირული კომიტეტები, და ფიზკულტურისა და სპორტის ვეტერანთა სექციები, რომლებიც ახლა იქმნებიან.

ახალგაზრდობასთან უნდა ვაწარმოოთ მოფიქრებული, გულმოდგინე მუშაობა, გამოვიყენოთ მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება, რეაგირების გარეშე არ დავტოვოთ არც ერთი საქციელი, რომელიც სახელს უტეხს რაიონს, ქალაქსა თუ რესპუბლიკას.

ტრიბუნებზე — სანიმუშო წესრიგი! ასეთია რესპუბლიკის საზოგადოებრიობის მტკიცე მოთხოვნა.

თათბირის შედეგები შეაჯამა ზ. ა. ჩხეიძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე გ. ი. გვეტაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე დ. ა. პერტენავა, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ს. ხარბედია. (საქინფორმი).

# წინ მსოფლიო ჩემპიონატია

**საქართველოს** სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, სსრ კავშირის ჩემპიონი კრივში, სპორტის ოსტატი **ამირან ხიზანიშვილი** დღეს მიემგზავრება მინსკში მსოფლიო ჩემპიონატისწინა (რომელიც მაისში ბელგრადში გაიმართება) დასკვნით შეკრებაზე. ამ დღეებში კი მან ალმა-ათის დიდ საერთაშორისო ტურნირში III ადგილი დაიკავა. აი, რა უამბო ყაზახეთის დედაქალაქში ასპარეზობის შესახებ ამირანმა „ლელოს" კორესპონდენტს:

— ალმა-ათის რინგზე სამი ბრძოლა ჩავატარე; ქულებით მოვუგე მოსკოველ ნიკოლოზ ლავროვს, შემდეგ აშკარა უპირატესობით დავამარცხე ნიკოლოზ ბორისკინი (ყაზახეთი) და ნახევარფინალში შევხვდი სსრ კავშირის შარშანდელ ჩემპიონს, ტაშკენტელ ფელიქს პაკს. ამ ორთაბრძოლას ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. გამარჯვებული შევიდოდა სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზებს. შევეცადე მაქსიმალურად გამომეყენებინა მთელი ოსტატობა და გამოცდილება. პირველი ორი რაუნდი ჩემი უპირატესობით დამთავრდა. მესამე რაუნდში მდგომარეობის განამტკიცებლად რისკზე წავედი. მეტოქესთან შეჯახებისას წარბი გამისკდა და, კრივის ულმობელი კანონის თანახმად, დამარცხება ჩამეთვალა. III ადგილზე დავრჩი.

**— და მაინც სსრ კავშირის ნაკრებში ჩაგრიცხეს...**

— როგორც ჩანს, ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ალექსეი კისელიოვმა გაითვალისწინა, რომ ამ ორთაბრძოლაში უპირატესობა ჩემს მხარეზე იყო და ის დასანანი შემთხვევითობა რომ არა, ვფიქრობ გავიმარჯვებდი.

**— სასიამოვნოა იყო ქვეყნის პირველ გუნდში, არა?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ახლა დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია. მსოფლიო ჩემპიონატში ჩვენი ქვეყნის ღირსების დაცვაზე ყოველი სპორტსმენი ოცნებობს. ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა ეს დიდი პატივი.

**— მსოფლიო ჩემპიონატამდე ცოტა დრო დარჩა და მინსკში შეკრებას თქვენი მწვრთნელების — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების ვლადიმერ ძნელაძისა და გურამ ბუმბიაშვილის გარეშე ჩაატარებთ. ეს ხომ არ იმოქმედებს მზადებაზე?**

— დიდი მადლობელი ვარ კრივის ყველა სპეციალისტისა და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გიორგი ჯანაშიასი, რომლის ხელმძღვანელობითაც გადავდგი პირველი ნაბიჯები კრივში. უდავოდ დიდი დამსახურება მიუძღვით ახლანდელ აღმზრდელებს. მართალია, ისინი მინსკში ჩემთან არ იქნებიან, მაგრამ მათ იქ სხვა მაღალკვალიფიციური მწვრთნელები შეცვლიან (უპირველესად, ალექსეი კისელიოვი), რომელთა გამოცდილებასა და პედაგოგიურ ალღოს სრულიად ვენდობი.

**— როგორ ვარჯიშობთ?**

— იმასთან დაკავშირებით, რომ უფრო მძიმე წონითს კატეგორიაში (48 კგ-დან 54 კგ-ზე) გადავედი, დიდ ყურადღებას ვაქცევ საერთო ფიზიკურ მომზადებას, ხელის ძალის განვითარებას.

**— საინტერესოა, რატომ აირჩიეთ კრივი?**

— არცთუ დიდი ხნის (5 წლის) წინათ ფეხბურთს ვთამაშობდი ეზოს გუნდში. ძალიან გამხდარი და სუსტი ვიყავი. ყოველი შეჯახებისას ვეცემოდი. ამიტომაც გადავწყვიტე ძლიერი გავმხდარიყავი, სწორედ კრივის საშუალებით. გავლენა იქონია, აგრეთვე, ჩემმა მეზობელმა, ყოფილმა მოკრივემ ილია მღებრიშვილმა, რომელმაც მიმიყვანა კიდეც „ბურევესტნიკში", კრივის სექციაში.

**— ახლა 20 წლისა ხართ. ქვეყანაში გიცნობენ, როგორც სსრ კავშირის ჩემპიონს. კიდევ რა სპორტული ტიტულები გაქვთ?**

— კრივში ვარჯიშის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ დავიწყე შეჯიბრებებში გამოსვლა. პირველ დიდ ტურნირში (ეს იყო საქართველოს პირველობა ჭაბუკთა შორის) დავიკავე II ადგილი, შემდეგ ორჯერ ვიყავი საქართველოს ჩემპიონი. გასულმა წელმა ბევრი წარმატება მომიტანა. გავიმარჯვე „ბურევესტნიკის" უძლიერეს მოკრივეთა ტურნირში, გავხდი საკავშირო პროფსაბჭოს ჩემპიონი და ბრინჯაოს პრიზიორი საკავშირო ჩემპიონატში; წლის ბოლოს „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობა მივიღე ალჟირის საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც ოთხი შეხვედრა მოვიგე და I ადგილზე გავედი. შემდეგ საკავშირო პროფსაბჭოს ნაკრების შემადგენლობაში გავემგზავრე გფრ-ში, სადაც ორი შეხვედრიდან (ერთი — გფრ-ის ჩემპიონთან) ორივე ჩემს სასარგებლოდ დავამთავრე.

**— რამდენი ბრძოლაა დღეისთვის თქვენს „პირად ანგარიშზე"?**

— ჩატარებული 103 ბრძოლიდან მოვიგე 95.

**— რომელი შეხვედრა უფრო დაგამახსოვრდათ, რომელს გამოყოფთ განსაკუთრებით?**

— გასაკვირია, მაგრამ არ დამავიწყდება ის ბრძოლა, რომელშიც დავმარცხდი. ეს იყო შარშან, როცა ქვეყნის ორგზის ჩემპიონს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ანატოლი კლიუევს შევხვდი. ორთაბრძოლა მეტად შეუპოვარი იყო.

**— დაბოლოს, რას ელით მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისგან?**

— მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა თავისთავად დიდი პატივია. ვეცდები ისე ვიასპარეზო, რომ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელებისა და გულშემატკივრების იმედები არ გავაწბილო.

**საუბარი ჩაიწერა**
**ზ. ქვათაძემ.**







# გზა დაგელოცოთ, დინამოელებო!

**ბევრ სხვა** საუკეთესო ტრადიციათა შორის, რომლებითაც სამართლიანად ამაყობს თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, შეიძლება დავასახელოთ ჩვენს სახელოვან სპორტსმენებთან მეგობრობა და მათთან ხშირი, გულთბილი შეხვედრები.

მართლაც, სასახლის აღსაზრდელები და პედაგოგ-მასწავლებლები მუდამ დიდი სიყვარულით ეგებებიან სასურველ სტუმრებს, მნიშვნელოვან საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებულ სპორტსმენებს ან პირიქით, მათ, ვისაც წინ ბრძოლის გრძელი და საპასუხისმგებლო გზა აქვთ და ვისგანაც ნანატრ გამარჯვებებს, რაინდული გამოსვლებით მინიჭებულ დიდ სიხარულს მოველით. ასეთ ღონისძიებებს შეიძლება მივაკუთვნოთ სასახლეში გამართული გუშინწინდელი შეხვედრაც. მასპინძლები გულლიად შეეგებნენ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივს, საკავშირო გათამაშების გრძელ გზას რომ დაადგა.

...სასახლის სარკეებიანი დარბაზი. აქ იწყება შეხვედრის, ასე ვთქვათ, ოფიციალური ნაწილი — დინამოელებს ესალმებიან და წინამდებარე საფეხბურთო სეზონში წარმატებებს უსურვებენ საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე **დ. პერტენავა**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ფიზკულტურისა და სპორტის სექტორის გამგე **ჯ. კვარაცხელია**, სოციალისტური შრომის გმირი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **შ. სარალიძე**, საკავშირო სპორტკომიტეტის ჭადრაკის განყოფილების გამგე **ვ. ბატურინსკი**, შაშში გოგონათა შორის სსრ კავშირის ჩემპიონი **მ. მოსიძე** და სხვები.

პიონერებმა და მოსწავლეებმა მისალმება და კეთილი სურვილები თავისებურად გამოხატეს: იქვე სარკეებიან დარბაზში გააჩაღეს ცეცხლოვანი ცეკვა, იმღერეს ტკბილხმოვანი ქართული მელოდიები...

საფეხბურთო მარშის ხმამ სტუმრებს სააქტო დარბაზისკენ მოუხმო. აქ ნორჩები ცეკვა-სიმღერით როდი დასჯერდნენ: დინამოელებთან ჩაატარეს სახელდახელო, იუმორით სავსე და მახვილგონივრული ინტერვიუ და მომავალ ჩემპიონატში გამარჯვებათა სურვილთან ერთად სტუმრებს საჩუქრებიც გადასცეს.

ბოლოს კი შეხვედრის დაუვიწყარი ნაწილი გაიმართა — დინამოელებთან პირადი გაცნობა, მათს ავტოგრაფებზე „ნადირობა". ერთი სიტყვით, შეხვედრა გადაიზარდა ნამდვილ მეგობრულ საახლოვეში, რამაც, ამ კარგ ღონისძიებას მეტი სითბო და ლაზათი შემატა.

**ა. ბარქაია.**

* * *

**სურათებზე:** თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში დინამოელთა კოლექტივთან გამართული შეხვედრის მომენტები.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.



## კალათბურთი

**ამერიკის** ქალაქ ატლანტაში პირველი მატჩი გამართეს საბჭოთა კალათბურთელებმა. ისინი შეხვდნენ ევროპის ჩემპიონებს, იუგოსლაველებს. ანგარიშია 97:79 (50:42) იუგოსლაველთა სასარგებლოდ. გამარჯვებულებმა თავიდანვე ხელთ იგდეს თამაშის სადავეები და ბოლომდე არ გაუშვიათ. იუგოსლაველთაგან საუკეთესონი იყვნენ დალიპაგიჩი და კიჩანოვიჩი, რომელთა ანგარიშზეა შესაბამისად 28 და 26 ქულა. საბჭოთა გუნდში საუკეთესოები იყვნენ ჟიგილიი — 18 და მიშკინი 16 ქულა. მეორე შეხვედრაში აშშ-ს ნაკრებმა მოუგო კუბის გუნდს 109:64 (56:21). საბჭოთა კალათბურთელებს მომდევნო მატჩი აქვთ 7 აპრილს კუბელებთან.

# დღეს, აქ, ამ მშვენიერ სტადიონზე...



**ფეხბურთის** მოყვარულებს სასიხარულო დღეები აქვთ: იწყება სსრ კავშირის 41-ე ჩემპიონატი, ჩვენი ქვეყნის 16 უძლიერესი გუნდი იღებს ხანგრძლივი და საპასუხისმგებლო შეჯიბრების სტარტს, წინაა საინტერესო, რთული ბრძოლა.

თუმცა, საფეხბურთო სეზონი არსებითად კარგა ხანია დაიწყო — უკვე ნათამაშევია საკავშირო თასის პირველი მატჩები, მოსკოვის „დინამოს“ თბილისის სტადიონზე მოუწია ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე ბრძოლამ, რესპუბლიკურ ჩემპიონატში უკვე განვლილია რამდენიმე კალენდარული ტური. ასპარეზობენ ნორჩი ფეხბურთელებიც... ერთი სიტყვით, აპრილის დასაწყისში საფეხბურთო ცხოვრება ჩვენში სრული ტემპით მიმდინარეობს, გულშემატკივრებს საზრუნავი საკმარისად აქვთ.

წლევანდელი სეზონი საკმაოდ მრავალფეროვანი და მდიდარია. ივნისის თვეში არგენტინაში გათამაშდება მსოფლიო ჩემპიონატი, შემდეგ სსრ კავშირის ნაკრები გუნდი ჩაებმება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში, გაიმართება ოფიციალური საერთაშორისო შეჯიბრებები. საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელებს უდავოდ ვიხილავთ ამ ასპარეზობებში და ყველას გულით გვწადია ვნახოთ ისინი გამარჯვებულთა, მოწინავეთა როლში, რომელთა წვლილი ღირსეული იქნება ნაკრები გუნდების წარმატებებში.

## უშეღავათო ბრძოლების მოლოდინში

რთული ამოცანების წინაშე დგას თბილისის „დინამო“. ბოლო წლებში მოპოვებული დიდი წარმატებები სერიოზულ პასუხისმგებლობას აკისრებს მას, დაპყრობილი პოზიციების დათმობა არ შეიძლება არავითარ შემთხვევაში, რაც არ უნდა მძაფრი იყოს კონკურენცია უძლიერეს მეტოქეთა მხრივ.

ანალოგიურ სიტუაციაში იმყოფება ქუთაისის „ტორპედოც“. ახალგაზრდულ კოლექტივს, მის ახალ ხელმძღვანელობას მაქსიმალური მობილიზება მართებთ იმ საპატიო ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად, რომელიც მის წინაშეა წამოჭრილი სადღეისოდ.

საკავშირო გათამაშებაში II ლიგის IV ზონაში საქართველო წარმოდგენილია 6 გუნდით. ჩვენ უფლება გვაქვს მოვთხოვოთ ლანჩხუთის, ბათუმის, სოხუმის, გორის, ზუგდიდის, სამტრედიის კოლექტივებს უკეთესი მაჩვენებლები, მეტი ოსტატობის, ნებისყოფის გამოვლენა. გარდა იმისა, რომ საჭიროა მაღალი ადგილების დაკავება გათამაშების ცხრილში, ამ გუნდებს ეკისრებათ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მოვალეობაც: მათს რიგებში უნდა აღიზარდონ პერსპექტიული, მაღალი კლასის ფეხბურთელები, რომლებიც შეძლებენ ადგილის დაკავებას რესპუბლიკის წამყვან კოლექტივებში — თბილისის „დინამოსა“ და „ქუთაისის „ტორპედოში“.

იგივე შეიძლება ვთქვათ რესპუბლიკურ ღონისძიებებში მონაწილე გუნდების შესახებაც. მრავალრიცხოვან ფეხბურთელთა შორის, ეჭვსგარეშეა, არიან ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებსაც შესწევთ ძალები ითამაშონ მაღალ დონეზე, მათთან მომუშავე მწვრთნელებმა მთელი თავიანთი უნარი და შესაძლებლობა უნდა წარმართონ იქით, რომ დიდი ფეხბურთისთვის აღზარდონ მაღალი ხარისხის რეზერვები. ესაა მათი უპირველესი ამოცანა და მოვალეობა.

განსაკუთრებით ბევრი შეჯიბრებაა წლეულს დაგეგმილი ბავშვთა და ჭაბუკთა შორის. დაწყებული „ტყავის ბურთის“ გათამაშებიდან ახლად დაწესებულ ტურნირამდე 20 წლის მოზარდებისთვის. გათამაშდება „იმედის თასი“, „სიჭაბუკის თასი“, ჩატარდება საკავშირო ჩემპიონატი სპეციალიზებულ სკოლებს შორის და მრავალი სხვა, სადაც საქართველოს წარმომადგენლებს შეუპოვარი ბრძოლა ექნებათ გამარჯვებულთა რიგებში ადგილების დასამკვიდრებლად. სწორედ ამ ჭაბუკებისკენაა მიმართული ჩვენი მზერა, მათგან მოველით იმ საიმედო ცვლას, რომელმაც უნდა შეავსოს რესპუბლიკის ოსტატთა გუნდების რიგები.

სსრ კავშირის 41-ე ჩემპიონატის გახსნის საზეიმო დღეს გვსურს იმედი გამოვთქვათ, რომ 1978 წლის სეზონი ჩაივლის საბჭოთა ფეხბურთის შემდგომი აღმავლობისა და წინსვლის ნიშნით.

**გ. ჯეჯელავა,**
**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

## ორი შეკითხვა მწვრთნელებს

**სსრ კავშირის** 41-ე ჩემპიონატის დაწყების წინ ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა თბილისის „დინამოს“ მწვრთნელებს და ორი შეკითხვით მიმართა მათ:

**1. თქვენი გუნდის მეტოქეებიდან ვინ მიგაჩნიათ მომავალი ჩემპიონატის ფავორიტებად?**

**2. რომელი მატჩები უფრო გაინტერესებთ ჩემპიონატის პირველ ტურში?**

გთავაზობთ მწვრთნელთა პასუხებს:

**ნ. ახალკაცი,**
**გუნდის უფროსი მწვრთნელი**

1. ჩვენი მეტოქეებიდან კიევის დინამოელები კვლავ რჩებიან ფავორიტებად. მათს გარდა დავასახელებ მოსკოვის „დინამოსა“ და „ტორპედოს“, აგრეთვე, დონეცკის „შახტიორს“.

2. პირველყოვლისა მაინტერესებს მატჩი თბილისში, სადაც ჩვენ ვეთამაშებით მოსკოვის „სპარტაკს“. სპარტაკელები, რომლებიც დაუბრუნდნენ უმაღლეს ლიგას, პრესტიჟის რეაბილიტაციის სურვილით არიან აღვსილი. რაც შეეხება სხვა შეხვედრებს, სტარტზე ყველგან შეიძლება მოხდეს სიურპრიზები.

**კ. ახათიანი,**
**უფროსი მწვრთნელი აღმზრდელობით მუშაობაში**

1. ჩემი აზრით, წარმატების დიდი შანსი აქვთ კიევის „დინამოს“, მოსკოვის „დინამოს“ და მოსკოვის „ტორპედოს“.

2. იოლი თამაშები სტარტზე არ არის. საინტერესო მატჩი იქნება ოდესაში „ჩერნომორეცსა“ და კიევის „დინამოს“ შორის, ერევანში „არარატსა“ და „ზენიტს“ შორის, დნეპროპეტროვსკში „დნეპრსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შორის.

**ს. კუტივაძე,**
**გუნდის მწვრთნელი**

1. ფავორიტებად დავასახელებ კიევის „დინამოს“, მოსკოვის „დინამოს“, მოსკოვის „ტორპედოს“. წინასასეზონო საწვრთნელ მატჩებში კარგი მომზადება გამოავლინა დონეცკის „შახტიორმაც“.

2. საგანგებოდ გამოსარჩევი მატჩი პირველ ტურში არ არის, თუმცა ყოველი შეხვედრა მეტად მნიშვნელოვანია. მაინც გამოვყოფ შემდეგ წყვილებს: „დნეპრი“ — „დინამო“ (მოსკოვი), „ნეფთჩი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი), „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ (კიევი).

## „დინამო“ (თბილისი)

სსრ კავშირის 1964 წლის ჩემპიონი. 1976 წლის თასის მფლობელი. 1939, 1940, 1951, 1953, 1977 წლების ჩემპიონატების მეორე პრიზიორი. 1936 (შემოდგომა), 1946, 1947, 1950, 1959, 1962, 1967, 1969, 1971, 1972, 1976 (გაზაფხული და შემოდგომა) წლების მესამე პრიზიორი. 1936, 1937, 1946, 1960, 1970 წლების თასის ფინალისტი.

**უფროსი მწვრთნელი** — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ნ. ახალკაცი, **უფროსი მწვრთნელი აღმზრდელობით მუშაობაში** — სპორტის ოსტატი კ. ახათიანი, **მწვრთნელი** — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ს. კუტივაძე.

### მეკარეები

სპორტის ოსტატი დ. გოგია (1948 წელს დაბადებული), ს ო ო. გაბელია (1953), ი. მამინაშვილი (1957).

### მცველები

ს ო ფ. კანთელაძე (1949), ს ო შ. ხინჩაგაშვილი (1951), ს ო ნ. ხიზანიშვილი (1953), ს ო დ. მუჯირი (1956), თ. კოსტავა (1956), გ. ჭილაია (1957), ი. რუხაძე (1959), ტ. ღურღიაძე (1959), დ. გოგოლაძე (1953).

## საგანაცხადო სია

### ნახევარმცველები

ს ო მ. მაჩაიძე (1949), ს ო ვ. ქორიძე (1949), ს ო გ. მაჩაიძე (1950), ს ო ვ. დარასელია (1957), ს ო ა. ჩივაძე (1955), ს ო ვ. კოპალეიშვილი (1954), ნ. ბაზაზაშვილი (1953), ვ. ძებისაშვილი (1956), ა. მინაშვილი (1957), ვ. ახობაძე (1960).

### თავდამსხმელები

ს ო დ. ყიფიანი (1951), ს ო ვ. გუცაევი (1952), ს ო რ. ჩელებაძე (1955), რ. შენგელია (1957), თ. ებანოიძე (1956), ნ. მუმლაძე (1956), ნ. კოკილაშვილი (1960).

## „ტორპედო“ (ქუთაისი)

უფროსი მწვრთნელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი რ. ძოძუაშვილი, უფროსი მწვრთნელი აღმზრდელობით დარგში თ. კენჭაძე, მწვრთნელი სპორტის ოსტატი თ. გრძელიშვილი.

### მოთამაშეები

მ. კვერნაძე (1956), ლ. მელიქია (1955), თ. სულაქველიძე (1956), შ. ოქროპირაშვილი (1950), ვ. შელია (1953), დ. ქვირია (1952), გ. ფარულავა (1954), რ. ფესტვენიძე (1952), რ. ბურკაძე (1956), გ. გაბიჩვაძე (1955), ა. კვერნაძე (1953), ზ. სვანაძე (1958), გ. გორგოძე (1959), ვ. ჩიმაკაძე (1958), ჟ. გვაძაბია (1960), მ. წიქორიძე (1959), თ. სვანაძე (1959), თ. სალდაძე (1960), ქ. მჭედლიძე (1957), ს ო ჯ. ხერხაძე (1945).

## თბილისის „დინამოს“ მწვრთნელები

**მოგვყავს** თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელების ვინაობა დაწყებული 1936 წლიდან დღემდე:

1936 წ. — ჟ. ლიმბეკი
1937-38 წ.წ — ა. სოკოლოვი
1939-40 წ.წ. — მ. ბუტუსოვი
1945-47 წ.წ. — ა. ჟორდანია
1948 წ. — მ. ბერძენიშვილი
1949 წ. — მ. მინაევი
1950 წ. — ა. სოკოლოვი
1950-53 წ.წ. — მ. იაკუშინი
1953-54 წ.წ. — ბ. პაიჭაძე
1955 წ. — ა. ჟორდანია
1956-57 წ.წ. — გ. ჯეჯელავა
1958 წ. — ვ. სოკოლოვი
1959-61 წ.წ. — ა. ჟორდანია
1961-62 წ.წ. — ა. ღოღობერიძე
1962-64 წ.წ. — მ. იაკუშინი
1964-65 წ.წ. — გ. კაჩალინი
1965-66 წ.წ. — ა. კოტრიკაძე
1967-68 წ.წ. — ვ. სოლოვიოვი
1968-70 წ.წ. — გ. ჩოხელი
1971-72 წ.წ. — გ. კაჩალინი
1973 წ. — ა. კოტრიკაძე
1974 წ. — გ. ჩოხელი
1974-75 წ.წ. — მ. იაკუშინი
1976-78 წ.წ. — ნ. ახალკაცი.

**ი. ნიკოლეიშვილი.**
სამტრედიის რ-ნი,
სოფ. დაბლა გომი.

## მილოცვათ მეგობრებო!

**ფეხბურთის** ყველა გულშემატკივარს ვულოცავ საკავშირო ჩემპიონატის დაწყებას. როგორც თბილისის „დინამოს“ ძველ ქომაგს, მინდა ჩვენმა ფეხბურთელებმა 41-ე სეზონშიც მონდომებით, ენერგიულად და ვაჟკაცურად იასპარეზონ და ბოლო ორი სეზონის ანალოგიურად მოიპოვონ ახალი წარმატებები. ამით ისინი დიდ სიხარულს მოგვანიჭებენ მათს თაყვანისმცემლებს.

**ნ. გაფრინდაშვილი,**
**ჭადრაკში სსრ კავშირისა და საერთაშორისო დიდოსტატი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი.**

## გულშემატკივართა თხოვნა

სტარტზეა 1978 წლის საკავშირო ჩემპიონატი, რომელსაც მოუთმენლად ველოდით ფეხბურთის მოყვარულები, განსაკუთრებით — რაიონებში მცხოვრებნი. ჩვენთვის ნამდვილი ზეიმია თბილისის „დინამოს“ თამაშების ტელეგადაცემები და რადიორეპორტაჟები.

აქლო წარსულში ქუთაისიდან მოხერხდა რამდენიმე მატჩის ჩვენება, ხშირად ეწყობოდა რადიორეპორტაჟი, მაგრამ ბოლო დროს ეს სიამოვნება მოგვაკლეს. ჩვენ კი დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალს ქუთაისელთა გამოსვლებს. ჩემი აზრით, საჭიროა ამ გუნდის თამაშები უკეთ გაშუქდეს.

ამას გარდა, „სოიუზპეჩატის“ ქსელში იყიდება ყოველი სეზონის საფეხბურთო ცნობარები, მაგრამ რაიონებში მათ იშვიათად წააწყდებით. აბაშაში, მაგალითად, ცნობარებს ვერ იშოვით. ეს გარემოება „სოიუზპეჩატის“ რესპუბლიკურმა ხელმძღვანელობამ მხედველობაში უნდა მიიღოს.

**რ. ჭანტურია.**
**აბაშის რაიონი, სოფ. ეწერი.**

●

## ჩემი წინადადება

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში ქულათა დარიცხვის ახლანდელი სისტემა ყველამ კარგად იცის. ცნობილია ახალი წესი ფრედ დამთავრებული მატჩების ლიმიტირების შესახებაც.

მე სხვა წინადადება მაქვს. მეტოქის მინდორზე მოგებისთვის გუნდს დაეწეროს 5 ქულა, საკუთარ მინდორზე გამარჯვებისთვის კი 4, ფრე მეტოქის მინდორზე შეფასდეს 3 ქულად, საკუთარზე — 2 ქულად. მეტოქის მინდორზე დამარცხება უნდა იძლეოდეს 1 ქულას, ხოლო შინ განცდილი წაგება — ნულს. ამას გარდა, მეტოქის მინდორზე გატანილ ყოველ ბურთზე გუნდს დაერიცხოს 0,2 ქულა, ხოლო შინ გატანილზე — 0,1 ქულა.

ჩემი აზრით, ქულათა დარიცხვის ასეთი წესი თამაშს მეტ სპორტულ ინტერესს შესძენს.

**კ. ბახტაძე.**
**ვეტერანი გულშემატკივარი.**

## საიუბილეო სტატისტიკა

● I წრის ბოლოსწინა შეხვედრა თბილისელთათვის რიგით 1050-ე იქნება საკავშირო ჩემპიონატებში.

● პირველივე ფრე თბილისელთათვის რიგით მესამასეა.

● მე-20 გატანილი გოლი 1700-ე იქნება, ხოლო საკუთარ კარში მიღებული მე-11 ბურთი — 1250-ე.

● II წრის მატჩები „ზენიტთან“ და ცსკა-სთან ამ გუნდებთან რიგით 70-ე შეხვედრებია.

**ჯ. ჩაჩავა.**

## მხიარული ფანჯრით



უსიტყვოდ.

ა. ოქროპირიძის ნახატი.



# ბიჭვინთაში 19 აგვისტოს

— მსოფლიო ჩემპიონის, საერთაშორისო დიდოსტატ ნონა გაფრინდაშვილისა და პრეტენდენტთა შეხვედრებში გამარჯვებული საერთაშორისო დიდოსტატის მაია ჩიბურდანიძის მატჩი ქალთა შორის მსოფლიო პირველობაზე ჩატარდება საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფიდე-ს) 1976 წლის გენერალურ ასამბლეაზე დამტკიცებული შეჯიბრების წესების მიხედვით — ასეთი შესავლით დაიწყო საკავშირო სპორტკომიტეტის ჭადრაკის განყოფილების გამგემ, სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დირექტორმა ვ. ბატურინსკიმ მატჩის რეგლამენტის ხელმოწერისადმი მიძღვნილი სხდომა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონისა და პრეტენდენტის მონაწილეობით მოეწყო 6 აპრილს თბილისში, ჭადრაკის სასახლეში. ამ სხდომას დაესწრნენ, აგრეთვე, საქართველოს სპორტკომიტეტის ხელმძღვანელები და რესპუბლიკის საჭადრაკო ფედერაციის წარმომადგენლები.

მერე ვ. ბატურინსკიმ დამსწრეთ გააცნო მსოფლიო პირველობაზე მატჩის რეგლამენტი.

მეტოქეებმა 16 პარტია უნდა ითამაშონ. გამარჯვებისთვის საჭიროა 8,5 ან 9 ქულის მოგროვება, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონს ტიტულის შესანარჩუნებლად 8 ქულაც ყოფნის. თუ ნ. გაფრინდაშვილმა ეს ქულები ვადამდე მოიპოვა, ბრძოლა გაგრძელდება, ვიდრე ის 8,5 ქულას არ მოაგროვებს, ანდა მატჩი არ დამთავრდება ანგარიშით 8:8. ორთაბრძოლის მოგების შემთხვევაში მ. ჩიბურდანიძეს მსოფლიო ჩემპიონის წოდება მიეკუთვნება.

მეტოქეებმა კვირაში სამი პარტია უნდა ითამაშონ. პარტიები გაიმართება შაბათს, ორშაბათსა და ოთხშაბათს. გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყობა კვირას, სამშაბათს და ხუთშაბათს. პარასკევი დასვენების დღეა. ყველა პარტია და გადადებული პარტია 16 საათზე დაიწყება. თითოეულ მეტოქეს შეუძლია მხოლოდ სამი პარტიის გაცდენა ავადმყოფობის გამო.

მატჩი ჩატარდება ბიჭვინთაში. იგი გაიხსნება 18 აგვისტოს. ამ საზეიმო ცერემონიალზე მოეწყობა კენჭისყრაც, რათა გაირკვეს ვინ დაიწყებს 19 აგვისტოს თეთრებით I პარტიას.

მატჩს უხელმძღვანელებს მსაჯთა კოლეგიის მთავარი არბიტრის, მისი მოადგილისა და მსაჯ-მდივნის შემადგენლობით. მატჩს ეყოლება თავისი ადმინისტრატორი და ექიმი (ყველა მოგვიანებით, მონაწილეებთან შეთანხმებით შეირჩევა).

თითოეულ მეტოქეს უფლება აქვს ჰყავდეს ორი მწვრთნელი, რომელთა ვინაობა მატჩის დაწყებამდე ერთი თვით ადრე უნდა გამოცხადდეს. მაგრამ დღესაც შეგვიძლია დავასახელოთ ძირითადი მწვრთნელი-სეკუნდანტები: ნ. გაფრინდაშვილის — დიდოსტატი ა. გიპსლისი, მ. ჩიბურდანიძისა — დიდოსტატი თამაზ გიორგაძე.

გამოცხადდა მატჩის სხვა სპეციალური საჭადრაკო პირობებიც, რომელთა მიზანია მაღალორგანიზებულ გითარებაში წარიმართოს ჩვენი დროის ჭეშმარიტად უძლიერეს მოჭადრაკეთა პაექრობა.

ნ. გაფრინდაშვილმა და მ. ჩიბურდანიძემ მოიწონეს შეხვედრის რეგლამენტი და ხელი მოაწერეს მას.

— ვფიქრობ, მატჩს დიდი გამოხმაურება მოჰყვება, რადგან იგი ბევრ შინაარსიან, საინტერესო პარტიასა და უშეღავათო ბრძოლას გვპირდება, — თქვა ბატურინსკიმ და მეტოქეებს წარმატებით თამაში უსურვა.

შემდეგ ვესაუბრეთ მსოფლიო ჩემპიონსა და პრეტენდენტს. ნ. გაფრინდაშვილი მიემგზავრება (გუშინ უკვე მოსკოვს გაფრინდა) დორტმუნდში (გფრ) ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, სადაც მას ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის მეორე ბალის მოპოვების შანსი აქვს. ტურნირში მისი მწვრთნელი ა. გიპსლისიც ითამაშებს. მ. ჩიბურდანიძე მიწვეულია ბუდაპეშტის ქალთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც 12 აპრილს აიღებს სტარტს. შეჯიბრებიდან დაბრუნებული მეტოქეები განაგრძობენ მზადებას ძნელი და საპასუხისმგებლო შეხვედრისთვის

**თ. გიორგაძე.**

* * *

სურათზე: ნ. გაფრინდაშვილი (მარცხნივ) და მ. ჩიბურდანიძე ხელს აწერენ ქალთა მსოფლიო პირველობაზე მატჩის რეგლამენტს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## ორმაგი წარმატება

სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა აშშ-ში დაამარცხა ამ ქვეყნის ნაკრები ანგარიშით 10:2. თავისუფალ მოჭიდავეთა საბჭოთა ნაკრებმა გუნდმა ადრე გაიმარჯვა ქალაქ ტოლიდოში მსოფლიო თასზე შეჯიბრებაში, სადაც მონაწილეობდნენ, აგრეთვე, იაპონიის, კუბის და აშშ-ს თავისუფალ მოჭიდავეთა გუნდები.

## ჭადრაკი

### დაიწყო ზონალური ტურნირი

ლვოვში, ი. გაგარინის სახელობის კულტურის სასახლეში ვაჟთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირის ოთხი საგზურისთვის ბრძოლაში ჩაებნენ საბჭოთა ზონალური ტურნირის მონაწილენი: (წილისყრის მიხედვით) დიდოსტატი გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი), საერთაშორისო ოსტატი ვ. ბაგიროვი (ბაქო), დიდოსტატები ა. კოჩიევი (ლენინგრადი), ა. ბელიავსკი (ლვოვი), ე. გელერი (მოსკოვის ოლქი), ვ. სმისლოვი, ი. ბალაშოვი (ორივე — მოსკოვი); რ. ვაგანიანი (ერევანი), ვ. სავონი (ხარკოვი), საერთაშორისო ოსტატი ი. დორფმანი (ლვოვი), დიდოსტატები ე. სვეშნიკოვი (ჩელიაბინსკი), ვ. ცეშკოვსკი (ომსკი), ბ. გულკო (მოსკოვი), ო. რომანიშინი (ლვოვი), ვ. ტუკმაკოვი (ოდესა).

I ტურში ყაიმით დამთავრდა ბაგიროვ — ტუკმაკოვის, კოჩიევ — რომანიშინის, გელერ — ცეშკოვსკის, სმისლოვ — სვეშნიკოვისა და ვაგანიან — სავონის შეხვედრები.

წარუმატებლად ითამაშეს სსრ კავშირის ჩემპიონებმა. დორფმანი დანებდა ბალაშოვს, გულკომ უარეს პოზიციაში გადადო პარტია ბელიავსკისთან.

II ტურში დაზავდნენ დორფმანი — ვაგანიანი, სვეშნიკოვი — ბალაშოვი და კუზმინი — ბაგიროვი.

### ოთხივე პარტია მოიგო

ლონ-პაინის (აშშ) ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა დიდოსტატმა ლ. პოლუგაევსკიმ სტარტზე ზედიზედ 4 პარტია მოიგო — სძლია ე. ფორმანეკს (აშშ), დ. იანოშევიჩს, რ. ბოგდანოვიჩს (ორივე — იუგოსლავია) და ი. სეირავანს (აშშ).

საბჭოთა დიდოსტატს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ინგლისელები ე. მაილსი და ჯ. მესტელი. ამ უკანასკნელთან პირველი წაგება იწვნია აშშ-ის ჩემპიონმა უ. ბრაუნმა.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტ. პეტროსიანს (სსრ კავშირი), ლ. პორტიშის (უნგრეთი), ბ. ლარსენის (დანია) და კიდევ სხვა სამი მონაწილის მსგავსად 3 ქულა აქვს.

## ფეხბურთი

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

### I ჯგუფი

**„მეტალურგი" (რუსთავი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 3:0. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).**

სტუმრებმა ვერაფერი გააწყეს მეტალურგების წინააღმდეგ, რომლებიც მონდომებით, შეწყობილად მოქმედებდნენ. ბურთები გაიტანეს ამიდიანმა, ვაშაძემ და ალადაშვილმა.

**„ჩიხურა" (საჩხერე) — „მზიური" (გალი) 0:0. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).**

**„ნადიკვარი" (თელავი) — „სპარტაკი" (თბილისი) 1:1. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).**

ანგარიში 11-მეტრიანი დარტყმით გახსნა თელაველმა ცირეკიძემ, ხოლო საპასუხო გოლი გაიტანა ხაჩატურიანმა.

**„კოლხეთი" (ხობი) — „ენერგეტიკოსი" (თერჯოლა) 0:0. მსაჯი თ. გაგნიძე (თბილისი).**

**„კოლხეთი" (ფოთი) — „იბერია" (ქარელი) 4:1. მსაჯი ლ. ლონაძე (თბილისი).**

ამ მატჩში პირველ წარმატებას მიაღწია „იბერიამ" ცუცქირიძის ზუსტი დარტყმის შემდეგ. ეს გოლი მალე გაქვითა სანაიამ, შემდეგ მანვე წინ გაიყვანა თავისი გუნდი, ხოლო მადანმა კიდევ ორჯერ აიღო ქარელელთა კარი.

**„სქური" (წალენჯიხა) — „ეგრისი" (ცხაკაია) 3:1. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).**

**„სპარტაკი" (ცხინვალი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:1. მსაჯი ა. ქოზაევი (ცხინვალი).**

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ივერია" (ხაშური) 0:1. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი).**

**„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:2. მსაჯი ა. პაიჭაძე (ხაშური).**

**„დურუჯი" (ყვარელი) — ასკ (თბილისი) 1:0. მსაჯი ვ. უჩაძე (თბილისი).**

**„მერცხალი" (მახარაძე) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 3:1. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).**

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი" ფ. | 7 | 6 | 1 | 0 | 21—2 | 13 |
| „მეტალ". რ. | 7 | 4 | 2 | 1 | 12—4 | 10 |
| „მეშახტე" | 6 | 5 | 0 | 1 | 10—5 | 10 |
| „კოლხეთი" ხ. | 7 | 3 | 4 | 0 | 6—1 | 10 |
| „მერცხალი" | 6 | 3 | 3 | 0 | 9—3 | 9 |
| „ჩიხურა" | 7 | 3 | 3 | 1 | 11—6 | 9 |
| „მზიური" | 7 | 3 | 2 | 2 | 11—7 | 8 |
| „სქური" | 7 | 2 | 4 | 1 | 9—7 | 8 |
| „სპარტ". თბ. | 6 | 2 | 3 | 1 | 5—5 | 7 |
| „ივერია" ხ. | 7 | 3 | 1 | 3 | 5—9 | 7 |
| „ამირანი" | 7 | 2 | 3 | 2 | 4—8 | 7 |
| „სპარტ". ცხ. | 7 | 2 | 2 | 3 | 7—6 | 6 |
| „მაღაროელი" | 6 | 3 | 0 | 3 | 8—9 | 6 |
| „სალხინო" | 7 | 1 | 4 | 2 | 7—11 | 6 |
| ასკ თბ. | 9 | 1 | 4 | 4 | 7—12 | 6 |
| „დურუჯი" | 6 | 2 | 2 | 2 | 4—9 | 6 |
| „ეგრისი" | 8 | 1 | 4 | 3 | 4—10 | 6 |
| პოლ. ინსტ. | 7 | 2 | 1 | 4 | 8—9 | 5 |
| „ნადიკვარი" | 7 | 1 | 3 | 3 | 8—9 | 5 |
| ფიზკ. ინსტ. | 7 | 2 | 1 | 4 | 6—15 | 5 |
| „მეტალურ". ზ. | 6 | 1 | 2 | 3 | 9—8 | 4 |
| „ენერგეტიკოსი" | 7 | 1 | 1 | 5 | 5—11 | 3 |
| „იბერია" ქ. | 7 | 0 | 2 | 5 | 4—14 | 2 |

### საჯარიმო დარტყმა

გაფრთხილებული არიან თ. ნეფარიძე („მზიური", გალი), ჯ. ლომიძე („ივერია", ხაშური), დ. დადუნაშვილი და მ. ოდილაძე („ენერგეტიკოსი", თერჯოლა).

**საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.**

### სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. 8 აპრილი. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი). დასაწყისი 12 ს. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „მერცხალი" (მახარაძე). 12 ს.

## ფეხბურთი

### დუბლიორთა მატჩი

**გუშინ** თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე გაიმართა საკავშირო გათამაშების მატჩი ფეხბურთში თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" დუბლიორ ფეხბურთელთა შორის.

შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა — 1:0. ბურთი გაიტანა ძებისაშვილმა.

დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს მატჩი: მამინაშვილი, რუხაძე, დურდიაძე, გოგოლაძე, შოთაძე (ახობაძე), მინაშვილი, ებანოიძე, ძებისაშვილი, კოკილაშვილი, ბაზაზაშვილი, მუმლაძე (ჯოხაძე).

## უჩვეულო ანგარიშით

**ერევანი, 6 აპრილი.** საერთაშორისო შეხვედრებისთვის უჩვეულო ანგარიშით დამთავრდა ამხანაგური მატჩი სსრ კავშირისა და ფინეთის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. იგი საბჭოთა გუნდმა მოიგო ანგარიშით 10:2. 3 ბურთი გაიტანა ბლოხინმა, 2 — კოლოტოვმა, თითო — კონკოვმა, ყიფიანმა, ჩესნოკოვმა, ბურიაკმა და პეტრაკოვმა. ფინელთა მხრივ გოლების ავტორები იყვნენ ჰეისკანენი და ნიემინენი.

სსრ კავშირის ნაკრებმა მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: დეგტიარევი (ნოვიკოვი), კონკოვი, ქუპიკოვი, ბესონოვი, გოლუბევი, პრიგოდა, ყიფიანი, ჩესნოკოვი (პეტრაკოვი), კოლოტოვი, ვერემეევი (ბურიაკი), ბლოხინი.

ამავე ქვეყნების ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუნდებმა ითამაშეს სიმფეროპოლში. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 6:0. 2 ბურთი გაიტანა თბილისის დინამოელმა შენგელიამ.

## ჩემპიონები დამარცხდნენ

5 აპრილს ჰამბურგში გაიმართა მეტად საინტერესო ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში. მსოფლიო ჩემპიონმა — გფრ-ის გუნდმა მიიღო ევროპაში საგასტროლოდ მყოფი ბრაზილიის ნაკრები.

მსოფლიო ჩემპიონებმა მარცხი განიცადეს — 0:1. ერთადერთი გოლი შეხვედრის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე გაიტანა ნუნიესმა.

პირველ ტაიმში ბრძოლა თანაბარი იყო. ერთ-ერთ მომენტში მასპინძელთა ცენტრფორვარდს ფიშერს საუკეთესო შესაძლებლობა შეექმნა, მაგრამ ააცილა მიზანს ბურთი. შესვენების შემდეგ ბრაზილიელებმა ორი შეცვლა მოახდინეს და ამან გაამართლა — მინდორზე გამოსულმა ნუნიესმა გაიტანა გოლი.

გერმანელთა მწვრთნელმა ჰ. შიონმა განაცხადა, რომ მისი გუნდი კარგად თამაშობდა მხოლოდ შესვენებამდე, ხოლო შემდეგ მოუკლო ტემპს და ინიციატივა მეტოქეს დაუთმო. ბრაზილიელთა მწვრთნელმა კუტინიომ ხაზი გაუსვა იმას, რომ მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ჩემპიონებთან გამარჯვებას იმ ვითარებაში, როცა მეორე ტაიმში მინდორზე არ იყო ბრაზილიელთა წამყვანი ფეხბურთელი რიველინო.

გაიმართა კიდევ რამდენიმე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა მონაწილეობით: პოლონეთი — საბერძნეთი 5:2, არგენტინა — რუმინეთი 2:0, მექსიკა — ბულგარეთი 3:0, ტუნისი — ჰოლანდია 0:4.

რედაქტორი ა. ბასილაია.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი

(აკ. წერეთლის პრ. № 2)

8 აპრილი

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

„დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (მოსკოვი)

დასაწყისი 19 ს.

ბილეთები გაიყიდება დილის 10 საათიდან „დინამოს" სტადიონის სალაროებში (№ 7-დან № 16-ის ჩათვლით).

### თბილისის სპორტულ ბაზებზე

**კლასიკური ჭიდაობა.** „ლოკომოტივის" დარბაზი. **დღეს.** საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით. დასაწყისი 11 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკვისა. რედაქციის მისამართი 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-66-14 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-62; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.